გᲐნᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**„ინფორმატიკა“, ბაკალავრიატი**

**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
**12 ნოემბერი 2020**
დასკვნის წარდგენის თარიღი
20 დეკემბერი 2020

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 206169304 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ინფორმატიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ინფორმატიკის ბაკალავრი, Bachelor of Informatics |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი (0613) |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, 2011 წლის 9 დეკემბრის N 424 გადაწყვეტილებით |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი დათუკიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი - საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ რუხაია<br>შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ბოსიკაშვილი<br>სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიკო შარაბიძე<br>სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამაზე მიღება მიმდინარეობს 2012 წლიდან, აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 9 დეკემბერს. პროგრამა 240 კრედიტიანია. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებში და კომპონენტებში  სტუდენტი აგროვებს 165 კრედიტს, მათ შორის პრაქტიკულ კომპონენტში 9 კრედიტს და კვლევით კომპონენტში - საბაკალავრო ნაშრომში 18 კრედიტს. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით 63 კრედიტს პროგრამული უზრუნველყოფის, აპლიკაციების დეველოპმენტის და მულტიმედიური დიზაინის მიმართულებიდან. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტი აგროვებს - 12 კრედიტს.

განხორციელდა საკადრო ცვლილებები პროგრამაში ჩართულ  აკადემიურ პერსონალში. პროგრამას დაემატა რამდენიმე  სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსი: კომპიუტერული ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება (პრაქტიკული კომპონენტი), მანქანური სწავლების საფუძვლები, სერვერული ტექნოლოგიები, R-პროგრამირება, მონაცემების ანალიზი R პროგრამირების გამოყენებით, ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

*„ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით,* განხორციელდა 2020 წლის 12 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი ზურაბ ბოსიკაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, პროფესორი მიხეილ რუხაია შავი ზღვის

საერთაშორისო უნივერსიტეტიდან და სტუდენტი სოფიკო შარაბიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა გიორგი დათუკიშვილი კავკასიის უნივერსიტეტიდან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტში მონაწილეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თორნიკე ბაქაქური.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა ვიდეო ზარის საშუალებით დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებისათვის უზრუნველყვეს საჭირო დოკუმენტების მიწოდება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  საბაკალავრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - დაკორექტირდეს სწავლის შედეგები და მიზნები კვალიფიკაციის შესაბამისად
  - დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზებთან მუშაობის საკითხები შესაბამის კურსებს ან დაემატოს დამატებითი არჩევითი კურსი, რომელიც მოიცავს ამ საკითხებს;
  - IT პროექტების მართვის საკითხები გაფართოვდეს პროგრამული პროდუქტების დეველოპმენტის პროექტების მართვის საკითხებით Agile სასიცოცხლო ციკლით;
  - არჩევით საგნად დაემატოს გაძლიერებული დეველოპმენტი ვებისთვის Node JS, ReactJS და Angular ფრეიმვორკების გამოყენებით;
  - საკვალიფიკაციო/საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში: შეფასებები :
    - 5-4 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა ზუსტი და ამომწურავია.
    - 3 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა არსებითად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეიცავს უზუსტობებს,
    - სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.
    - 2 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა არასრულია; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. არასრულად
    - ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას;
    - 1 ქულა - ამოცანის გადაწყვეტაში აღინიშნება არსებითი შეცდომები. მინიმალურად ფლობს პროგრამით

    - გათვალისწინებულ გავლილ მასალას;
    - 0 ქულა - ნაშრომი ამოცანის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული
  - გაურკვეველია რომელ პრეზენტაციას ეკუთვნის პირველს თუ მეორეს.
  - შემუშავდეს აკადემიური პერსონალის წახალისების პოლიტიკა საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.
  - გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.
  -

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - საგანმანათლებლო პროგრამის კურსებში გაიზარდოს პროგრამული პროექტების მართვის საკითხების წილი ან დაემატოს ცალკე საგნად
  - დაემატოს რიცხვითი მეთოდების საკითხები შესაბამის სილაბუსებს ან პროგრამას დაემატოს ახალ არჩევით საგნად
  - სასურველია პროგრამას დაემატოს UX დიზაინის კურსი
  - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება პრიორიტეტულად უნდა მოხდეს პარტნიორ დაწესებულებაში
  - სწავლის მეთოდები, როგორიცაა ჯგუფური პროექტები და ქეისების შესწავლა გაიწეროს იმ სილაბუსებში სადაც რეალურად ხორციელდება
  - საბაკალავრო პროექტზე და სხვადასხვა კურსების დავალებებზე ჯგუფური მუშაობა შეფასებული იყოს თვით სტუდენტების მიერ და ეს გათვალისწინებული იყოს საბოლოო შეფასებაში.
  - უსდ-ს მიერ აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის წახალისებაზე, რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში.
  -

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მომზადდეს სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება პროგრამული უზრუნველყოფის, აპლიკაციების, ვებ და მულტიმედიური პროექტების შექმნა, მართვა და გამოყენება სხვადასხვა საინჟინრო და ფიზიკური პროცესების მოდელირებაში, კომერციულ, სამეცნიერო, სარეკლამო და მედია სფეროში, ინოვაციურ საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში;<br>პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოკვლეული იქნა ბაზარზე დღეს არსებული მოთხოვნები. ბაზრის კვლევა განხორციელდა ღია და დახურული პლატფორმების მონაცემების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამამ გარე პროფესიული შემოწმება გაიარა 2 ქართულ კომპანიასთან და მიიღო რეკომენდაციები და თანამშრომლობის მზაობა მათ სტუდენტებთან. სასწავლო კურსები შერჩეულია ანალიზის შედეგად გამოკვეთილი მიმართულებით ცოდნის მიცემის მიზნით.<br>ინფორმაცია პროგრამის შესახებ, ასევე მიღების წესები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.<br>პროგრამის მიზნები კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუმცა ვაწყდებით დილემას მულტიმედია ტექნოლოგიების და დიზაინის საგნების წილით პროგრამაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>○ საბაკალავრო პროგრამა (პროგრამის მიზნები);<br>○ საგანმანათლებლო პროგრაამის დაგეგმვის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია<br>○ უნივერსიტეტის ინტერნალიზაციის პოლიტიკა<br>○ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისია, იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე gau.edu.ge;<br>○ შრომის ბაზრის ანალიზი;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>დაკორექტირდეს მიზნები კვალიფიკაციის შესაბამისად |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. დასახვეწია მიზნები და სწავლის შედეგები ისე რომ პროგრამა გადიოდეს შესაბამის კვალიფიკაციაზე და არა სწავლის სხვა სფეროებზე, მულტიმედია ტექნოლოგიები და დიზაინი. სწავლის შედეგების ნაწილი ასახავს დარგის სპეციფიკას და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან - იძლევა ცოდნას თანამედროვე პროგრამულ ბაზარზე არსებული ინდუსტრიული პლატფორმების დეველოპმენტის, პროექტის შექმნისა და მართვის შესახებ. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს დაპროგრამებისა და მულტიმედიური ტექნოლოგიების ცოდნას. ეს უკანასკნელი არ არის პროგრამის შესაბამისი

კვალიფიკაციის სწავლის შედეგი. ბაკალავრს შეეძლება საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება, ექნება რა ვებ ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, პროექტის შემუშავებისა და განხორციელების უნარი და სხვა. ხოლო მულტიმედია და გრაფიკული პროგრამების გამოყენების უნარი ნაწილობრივ უნდა დარჩეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტად მაგრამ არა ამ დოზით.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის მიხედვით 2019-2020 სასწავლო წელს განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. მიღებული რეკომენდაციები სრულად აისახა განახლებულ პროგრამასა და რეგულაციებში.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და უნარებს. მიღებული ცოდნა მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

პროგრამის შემუშავება-განვითარებაში და ცვლილებების შეტანაში ჩართულია როგორც აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები, ისე დამსაქმებლები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- *დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;*
- *კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;*
- *პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზი;*
- *საბაკალავრო პროგრამა (პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა);*
- *სკოლის საბჭოს ოქმები*
- *შრომის ბაზრის ანალიზი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალები;*
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

დაკორექტირდეს სწავლის შედეგები კვალიფიკაციის შესაბამისად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ წარმოდგენილ პროგრამაში პროგრამაზე დაშვების პირობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:<br><br>საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.<br><br>○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებგვერდი gau.edu.ge<br>○ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

| |
|---|
| შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის ძირითად პრინციპების დაცვით. პროგრამაში შემავალი კურსები აქტუალურია და მოთხოვნადი. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში.<br><br>კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებშიც ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები.<br><br>კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი) და პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი (ECTS), რომელიც შეადგენს საბაკალავრო პროგრამაში შემავალი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის (სავალდებულო და არჩევითი) სასწავლო კურსების და კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტების კრედიტების ჯამს;<br><br>ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებში და კომპონენტებში სტუდენტი აგროვებს 165 კრედიტს, მათ შორის პრაქტიკულ კომპონენტში 9 კრედიტს და კვლევით კომპონენტში - საბაკალავრო ნაშრომში 18 კრედიტს.<br><br>ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით 63 კრედიტს პროგრამული უზრუნველყოფის, აპლიკაციების დეველოპმენტის და მულტიმედიური დიზაინის მიმართულებიდან. |

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტი აგროვებს - 12 კრედიტს.

12 კრედიტის დაგროვება სტუდენტს ასევე შეუძლია შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის გარშემო არის შემდეგი შენიშვნები:

- პროგრამაში მოყვანილი კურსების წინაპირობები ზოგიერთ მაგ. სასწავლო კურსის „გამოყენებითი სტატისტიკა“ სილაბუსში წინაპირობაა „ალბათობის თეორია“, მაშინ როდესაც სასწავლო პროგრამაში წინაპირობა აქვს „R პროგრამირება“ და „დისკრეტული მათემატიკის (გაღრმავებული კურსი) “შემთხვევაში არ ემთხვევა სილაბუსების კურსზე დაშვების წინაპირობებთან;
- სწავლის შედეგების რუქიდან სჩანს, რომ ზოგიერთ სწავლის შედეგზე (მაგ: მე-2 , მე-4 და მე-8 შედეგზე გადის უმეტესობა სასწავლო კურსებისა არ არის ასახული ამ კურსების წილი;
- პროგრამაში სუსტად არის ასახული პროგრამული პროექტების მართვის საკითხები; პროექტების მართვის ისეთი საკითხი, როგორიცაა პროექტების მართვის ეჯაილ მეთოდი , რომელიც ძალიან აქტუალურია დღეს , საერთოდ არ განიხილება სასწავლო პროგრამაში.
- პროგრამაში შემავალ კურსებში არა არის გაშუქებული ამოცანების მოდელირების რიცხვითი მეთოდები; კურსი როგორიცაა "რიცხვითი მეთოდები“ ან ამ კურსის საკითხები პროგრამაში საერთოდ არა არის გაშუქებული
- მათემატიკის კურსების პრაქტიკულებში არ გამოიყენება Math Lab პროგრამული პაკეტი;
- საბაკალვრო ნაშრომი შეირჩევა მხოლოდ მულტიმედია სისტემების დაპროექტების კუთხით, მაშინ როდესაც პროგრამის ძირითადი საგნების უმრავლესობა პროგრამული სისტემების დეველოპმენტს ეხება და სტუდენტმა შეიძლება შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი მხოლოდ პროგრამირების ნაწილში;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათებლო პროგრამა
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძრვანელთან და სილაბუსების ავტორებთან
- ინტერვიუები სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან
- თვითშეფასების დოკუმენტი

**რეკომენდაციები:**

- საგანმანათლებლო პროგრამაში მოყვანილი კურსების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობებთან, მაგ. სასწავლო კურსის „გამოყენებითი სტატისტიკა“ სილაბუსში წინაპირობაა „ალბათობის თეორია“, მაშინ როდესაც სასწავლო პროგრამაში წინაპირობა აქვს „R პროგრამირება“ და „დისკრეტული მათემატიკის (გაღრმავებული კურსი) “შემთხვევაში არ ემთხვევა სილაბუსების კურსზე დაშვების წინაპირობებთან;
- სწავლების შედეგების რუკაში აისახოს კურსების წილები
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადება შესაძლებელი იყოს მულტიმედიური კომპონენტის

| |
|---|
| გარეშე, რადგან ეს კომპონენტი არ არის გათვალისწინებული სწავლის სფეროს კლასიფიკატორში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• საგანმანათლებლო პროგრამის კურსებში გაიზარდოს პროგრამული პროექტების მართვის საკითხების წილი ან დაემატოს ცალკე საგნად<br>• დაემატოს რიცხვითი მეთოდების საკითხები შესაბამის სილაბუსებს ან პროგრამას დაემატოს ახალ არჩევით საგნად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი, კონკრეტულად, კურსის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგთან. თითოეული კურსი სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა და სიღრმე შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და მიღწევადს ხდის კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის მოცულობისა და სტუდენტების დატვირთვის განსაზღვრა, კურსის სწავლების შედეგების შეფასება დეტალურად არის მოცემული კურსის სილაბუსში და მოიცავს შესაბამის შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს/რუბრიკებს.

კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველ სემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორიცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება კურსის ლექტორისთვის და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებით არის შემდეგი შენიშვნები:

- სასწავლო კურს „**NS&EC 411** ვებ ტექნოლოგიები (JAVA SCRIPT_jquery)“-თან ერთად სასურველია განხილული ყოფილიყო ისეთი ფრეიმვორკები (NodeJS, ReactJS, Angular და სხვა), რომლებიც უფრო აქტუალურია და უფრო მოთხოვნადი;
- სასწავლო კურს „**NS&EC 603** მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებში“ არ არის განხილული NoSql მონაცემთა ბაზები, რომლებიც ასევე აქტუალურია და მოთხოვნადი;
- სასწავლო კურს „**NS&EC 508** პროექტის მენეჯმენტი და ბიზნეს ანალიზი (Business Analysis)“ - ში განხილულია IT პროექტები მხოლოდ ნაკადური სასიცოცხლო ციკლით, მაშინ როდესაც უფრო აქტუალურია პროექტებია Agile სასიცოცხლო ციკლით;
- სასწავლო კურსი **„NS&EC 702** კომპიუტერული ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება“ არ მოიცავს პრაქტიკის საკითხებს ფირმებში, კომპანიებში და სახელმწიფო ორგანიზაციებში;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამის სემესტრული გეგმა;

**რეკომენდაციები:**

- დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზებთან მუშაობის საკითხები შესაბამის კურსებს ან დაემატოს დამატებითი არჩევითი კურსი, რომელიც მოიცავს ამ საკითხებს;
- IT პროექტების მართვის საკითხები გაფართოვდეს პროგრამული პროდუქტების დეველოპმენტის პროექტების მართვის საკითხებით Agile სასიცოცხლო ციკლით;

| |
|---|
| ○ არჩევით საგნად დაემატოს გაძლიერებული დეველოპმენტი ვებისთვის Node JS, ReactJS და Angular ფრეიმვორკების გამოყენებით; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია პროგრამას დაემატოს UX დიზაინის კურსი |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაში სრულად წარმოდგენილია სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების შესაძლებლობები.<br><br>პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კერძოდ პრაქტიკული კომპონენტის მოცულობაა 9 კრედიტია. ამასთან პრაქტიკული კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის და ინჟინერიის სკოლის ტექნიკურ (ლაბორატორია) ბაზაზე ან/და შესაბამისი ორგანიზაციის ბაზაზე, რომელთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება პრიორიტეტული უნდა იყოს პრაქტიკული კომპონენტის გავლა პარტნიორ დაწესებულებებთან.<br><br>პროგრამის კურსები მოიცავს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკულ დავალებებს, რომლის მიზანია, სტუდენტმა შეძლოს, შესწავლილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამასთანავე, |

პროგრამა უზრუნველყოფს იმ აკადემიური უნარების გამომუშავებას, რომელიც საჭიროა ბაკალავრიატის საფეხურის ნებისმიერი მიმართულების დასაძლევად. სტუდენტს, ასევე, გამოუმუშავდება ტრანსფერული უნარები, ის მოახდენს პრაქტიკულ მეცადინეობებზე ათვისებული ცოდნის გადატანას რეალურ სამუშაო გარემოში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან,
- ინტერვიუები სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება პრიორიტეტულად უნდა მოხდეს პარტნიორ დაწესებულებაში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

| |
|---|
| შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, სასწავლო კურსებში გამოიყენება შეფასების იმგვარი მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც შესაბამისობაშია და ზომავს სწავლის თითოეულ შედეგსა თუ კომპეტენციას.<br>პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:<br>• ინტერაქციული ლექციები და სემინარები;<br>• აქტიური სწავლების მეთოდები;<br>• ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;<br>• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;<br>• პროექტები;<br>• დისკუსია/დებატები;<br>• ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;<br>• დემონსტრირების მეთოდი;<br>• ლაბორატორიული მუშაობა;<br>• პრაქტიკული მუშაობა.<br><br>○ სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, შეხვედრების საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში.<br><br>○ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.<br><br>○ თუმცა სილაბუსების დიდ ნაწილში ზემოთ მოყვანილი სწავლების მეთოდები მხოლოდ ზოგადადაა მითითებული და არ ჩანს მათი განხორციელება დავალებებში ან შეფასების მეთოდებში. აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან, ისევე როგორც სტუდენტებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროფესორები თავის სილაბუსებში იყენებენ მრავალფეროვან და საგნის სპეციფიკის შესაბამის დავალებებს, როგორიცაა ჯგუფური პროექტები და ქეისების შესწავლა, მაგრამ ხშირად ეს არაა ასახული სილაბუსებში.<br>○ პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსს, სწავლის შედეგებს. ამგვარად ჩამოყალიბებული სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობაში.<br><br>○ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუები ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სწავლის მეთოდები, როგორიცაა ჯგუფური პროექტები და ქეისების შესწავლა გაიწეროს იმ სილაბუსებში სადაც რეალურად ხორციელდება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საკვალიფიკაციო/საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში: შეფასებები :

5-4 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა ზუსტი და ამომწურავია.
3 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა არსებითად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეიცავს უზუსტობებს, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.
2 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა არასრულია; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. არასრულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას;
1 ქულა - ამოცანის გადაწყვეტაში აღინიშნება არსებითი შეცდომები. მინიმალურად ფლობს პროგრამით
გათვალისწინებულ გავლილ მასალას;
0 ქულა - ნაშრომი ამოცანის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული

გაურკვეველია რომელ პრეზენტაციას ეკუთვნის პირველს თუ მეორეს.

დეტალურად სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისების შეფასება წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილ თითოეულ სასწავლო კომპონენტში.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო, საშინაო დავალება/დამოუკიდებელი სამუშაო და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, პრეზენტაცია, გრაფიკული ნაშრომი და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;

შუალედური შეფასების 60 ქულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობას, პრეზენტაციებს, საშინაო დავალების განილვას და სხვა, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ;

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

| |
|---|
| პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებისაგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ.<br>რადგანაც საბაკალავრო პროექტზე და სხვადასხვა კურსების დავალებებზე ჯგუფური მუშაობისას ძნელია სტუდენტებისთვის თანაბარი დავალებების თანაბრად დაყოფა სირთულის მიხედვით ამავე დროს ასევე ძნელია მათ მიერ გაკეთებული სამუშაოს შეფასება, ამიტომ სასურველია ამ შემთხვევაში თითოეული აქტორის (მონაწილის) მიერ შესასრულებელი დავალების სირთულე თვით სტუდენტების მიერ იყოს შეფასებული და ეს სირთულე გათვალისწინებული იყოს მონაწილის საბოლოო შეფასების დროს, რაც საბოლო ჯამში სტუდენტების თვით ორგანიზებას გაზრდის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო პროგრამა პროგრამა და სილაბუსები;<br>○ სტუდენტთა ელექტრონული პორტალი;<br>○ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა.<br><br>○ ინტერვიუები ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან<br>○ ინტერვიუები სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>საკვალიფიკაციო/საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში: შეფასებები :<br><br>5-4 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა ზუსტი და ამომწურავია.<br>3 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა არსებითად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეიცავს უზუსტობებს, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.<br>2 ქულა- ამოცანის გადაწყვეტა არასრულია; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. არასრულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას;<br>1 ქულა - ამოცანის გადაწყვეტაში აღინიშნება არსებითი შეცდომები. მინიმალურად ფლობს პროგრამით<br>გათვალისწინებულ გავლილ მასალას;<br>0 ქულა - ნაშრომი ამოცანის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული<br><br>გაურკვეველია რომელ პრეზენტაციას ეკუთვნის პირველს თუ მეორეს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>საბაკალავრო პროექტზე და სხვადასხვა კურსების დავალებებზე ჯგუფური მუშაობა შეფასებული იყოს თვით სტუდენტების მიერ და ეს გათვალისწინებული იყოს საბოლოო შეფასებაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

| შემთხვევაში) |
| --- |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| --- |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების |

გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ -ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები შეუფერხებლად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, აკადემიური მიღწევებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე. სტუდენტთა ინფორმირების მთავარ წყაროს წარმოადგენს ელ-ფოსტა. სტუდენტებს წერილები სხვადასხვა სიახლეების შესახებ სწორედ ზემოაღნიშნული წყაროს მეშვეობით მიეწოდებათ. ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული პორტალი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ თვალი ადევნონ სემესტრის განმავლობაში არჩეული კურსების შეფასებას. ამავე პორტალზეა განთავსებული კურსების სილაბუსები. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის საკომუნიკაციო წყაროდ ხშირად სოციალური ქსელი გამოიყენება. სტუდენტებს კომუნიკაციის დამყარების კუთხით პრობლემა არ ექმნებათ.

შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის სამსახური, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა სისტემატურ კონსულტაციებს და მხარდაჭერას დასაქმების მიმართულებით, თუმცა გამოკითხვების შედეგად არ დადასტურდა სტუდენტთა ჩართულობა ამ მიმართულებით. ისინი ფლობენ ინფორმაციას მაგრამ არ იყენებენ ზემოაღნიშნულ შესაძლებლობას.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უსდ-ში და კერძოდ ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა ისინი ხშირად არ იყენებენ ზემოაღნიშნულ შესაძლებლობას, თუმცა ამ კუთხით ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდიან.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომლის გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ სამომავლოდ. კერძოდ კი არჩევითი საგნების გამრავალფეროვნებას და პროგრამირების ფარგლებში სავალდებულო საგნების რაოდენობის შეკვეცას.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა ინიცირებით მოხდა პროგრამირებისა და დიზაინის კურსების დაბალანსება, თუმცა ფიქრობენ რომ ეს საკმარისი არ არის და სამომავლოდ ამ ორი მიმართულების გამიჯვნა უმჯობესი იქნება.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტისა და პროგრამის შერჩევისას მათ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს პრიორიტეტი მიანიჭეს გაცვლით

პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობისა და დასაქმების შესაძლებლობების გამო. საბოლოოდ, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტი სტუდენტების ინტერესის დაცვითა და მათთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, როგორც სწავლების ასევე მომსახურების კუთხით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კარიერის სამსახურის ფუნქციები
- უსდ-ს პროგრამის აკადემიური მენეჯერის ფუნქციები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა
- სტუდენტთა და კურსადამთავრებულთა ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 9 მოწვეული ლექტორი. აღსანიშნავია, რომ 7 ასოცირებული პროფესორიდან მხოლოდ 4-ია აფილირებული. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათი პირადი საქმეები. თუმცა, თვითშეფასებიდან და პირადი საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამაში ჩართულ პირთა მიერ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები მკვეთრად აღემატება საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს. კარგი იქნება თუ ეს მაჩვენებელი შეიცვლება და აქცენტი გაკეთდება ნაშრომების საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნებაზე. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით

| |
|---|
| განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის.<br>აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის" და უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე.<br>წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.<br>წარმოდენილი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ინფორმაციული სისტემების სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან<br>○ უნივერსიტეტის დებულება<br>○ უნივერსიტეტში აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეოდოლოგია;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>უსდ-ს მიერ აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის წახალისებაზე, რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის შეფასების წესი, რომლითაც ფასდება პერსონალის კომპეტენცია და დგინდება დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი, თუმცა ამ დოკუმენტში სათანადო წონა არ აქვს საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობასა და რეპუტაციულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას.

უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა ტიპის თემატური საინფორმაციო შეხვედრები, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა მოისმინოს დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციები. აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს ასევე საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორი უნივერსტიტეტების და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით არ დასტურდება მათი სისტემატიური მონაწილეობა საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. ეს შესაძლოა გამოწვეულ იქნას ენის ბარიერით ან სახსრების არ არსებობით, ან ორივე ერთად. ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების შედეგად, ვერ დადასტურდა არსებობს თუ არა უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმი, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- პერსონალის შეფასების წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- უნივერსიტეტში განხორციელებული აქტივობების ნუსხა
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

**რეკომენდაციები:**

შემუშავდეს აკადემიური პერსონალის წახალისების პოლიტიკა საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსი, სხვადასხვა დანიშნულების ლაბორატორიები და კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების პროცესში კომისიის წევრებმა ვიდეო ზარით ნახეს ორი კომპიუტერული კლასი 20 და 30 კომპიუტერით, რომლებიც ემსახურება კონკრეტულად ამ პროგრამას. ერთ-ერთ კომპიუტერულ კლასში შემოწმდა სწავლების პროცესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა, ხარვეზები არ გამოვლენილა.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის ბაზაში არ მოიძებნა სასწავლო სილაბუსებში განსაზღვრული გარკვეული ძირითადი ლიტერატურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს Elsevier და სხვა სპეციალიზირებულ ელექტრონულ ბაზებთან თუ ბილიოთეკებთან, რომელზე წვდომაც აქვთ სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისევე სახლის პირობებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერილურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები და რესურსები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლას შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით. ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი არის სკოლის საერთო ბიუჯეტის ნაწილი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი თანხების მობილიზება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის შემოსავლები და პირდაპირი ხარჯები.<br><br>ბიუჯეტით განსაზღვრულია თანხა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო ფონდის და სხვა მიმართულებით განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის ბიუჯეტი<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და |

იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს პროგრამების ხარისხის მონიტორინგს, რომელიც ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი სფეროები, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესები, ინფრასტრუქტურა, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალი, მატერიალური ბაზა და სხვა. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა. შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. სასწავლო პროგრამის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სწავლების მეთოდებთან, სასწავლო მასალის აქტუალურობასთან, კურსის ხანგრძლივობასთან და სხვა ასპექტებთან დაკავშირებით. პერსონალის მიერ უკუკავშირი ხორციელდება როგორც გამოკითხვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირების გზით.

შიდა შეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია სტუდენტთა ჩართულობა შიდა შეფასების პროცესში, რისთვისაც გამოიყენება სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური შეფასების მექანიზმები. სტუდენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს, რომელსაც შეუძლია შეფასების პროცესს მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო კურსის ეფექტურობის, სწავლებისა და სწავლის პროცესში მიღებული გამოცდილებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების თაობაზე. პროგრამების შეფასებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითვალისწინებს როგორც სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს, ასევე მათ აკადემიურ მოსწრებას, აკადემიურ საჩივრებსა და აპელაციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პრესონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებას ძირითადად ახორციელებენ დამსაქმებლები შესაბამისი გამოკითხვების გზით. გარეშე პირებისგან საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირი უნივერსიტეტს ეხმარება მიიღოს მიუკერძოებელი ინფორმაცია და ობიექტურად შეაფასოს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან არ განხორციელებულა პროგრამის გარე შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან.<br><br>2011 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- დამსაქმებლების შეფასების წერილები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატიურად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას. ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br>პროგრამების პერიოდულ შეფასებასა და გაუმჯობესებაში ჩართულია ყველა საჭირო მხარე. დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. ხორციელდება მათი გამოკითხვა და ამის საფუძველზე ხდება პროგრამის პერიოდული მოდიფიცირება და დახვეწა.<br>უნივერსიტეტში სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, რაც აისახება შეფასების ფორმაში. მონიტორინგის გზით მიღებული შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.<br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2018/19 და 2019/20 სასწავლო წლებში, შეფასების შედეგები გადაეცა პროგრამის განვითარების კომისიას და მის შესაბამისად განხორციელდა პროგრამის მოდიფიკაცია.<br>დაწესებულებაში ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მსგავსი პროგრამა საქართველოში არ არის, თუმცა აგრეთვე ვერ მივიღეთ პასუხი თუ რომელი საზღვარგარეთული პროგრამის ანალოგია ან რომელ პროგრამასთან განხორციელდა შედარება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პრესონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთვრებულებთან და დამსაქმებლებთან<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა<br>○ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და კითხვარები. |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>განხორციელდეს უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან შედარება |

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| --- |
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:** ინფორმატიკა, ბაკალავრიატი

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:** 36

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

გიორგი დათუკიშვილი 

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

მიხეილ რუხაია  Digitally signed by Mikheil Rukhaia

ზურაბ ზოსიკაშვილი 

სოფიო შარაბიძე

